N 04/235
15/11/2022

ბრძანება

235-01-4-202211151608

ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ 61001006865) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ 61001006865) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე“ თანდართული სახით;
2. ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ 61001006865) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო,

კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ [redacted]) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცეტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 5 ოქტომბრის N01/1799 წერილით შემოვიდა შეტყობინება ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ [redacted]) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის შესახებ.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, კორპორატიული სტრუქტურა, ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე, წლიური ბრუნვები 2021 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, მეთოდოლოგია - რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზეგავლენების შესახებ, მინიმუმ სამი საკითხი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- ფ/პ ზაზა გოგოტიშვილთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები;
- შპს „სიემსისთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები;
- ინფორმაცია შპს „სიემსის“ ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

ზაზა გოგოტიშვილი არის მეწარმე ფიზიკური პირი, ხოლო შპს „სიემსის“ საქმიანობის სფეროა საინჟინრო საქმიანობები და მასთან დაკავშირებული კონსულტირება.

კონცენტრაციის ფორმა:

შეტყობინების მიხედვით, დაგეგმილი კონცენტრაციის ფორმა არის ფ/პ ზაზა გოგოტიშვილის (პ/ნ [redacted]) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, სადაც

პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება 50-50%-ით და რომელიც დაკავებული იქნება სამშენებლო მასალების იმპორტით და ექსპორტით.

კონცენტრაციის მხარეები:

- ფ/პ ზაზა გოგოტიშვილი (პ/ნ [redacted]) ფლობს წილს შემდეგ კომპანიებში: შპს „ანაგი“ (ს/კ 245416401 - 100%), შპს „ანაგი ბეტონი“ (ს/კ 245546681 - 35%), შპს „ანაგი ქონსთრაქშენი“ (ს/კ 404631733 - 100%), შპს „ანაგი არტ ჰაუს“ (ს/კ 404630716 - 100%), შპს „დინ და პარტნიორები“ (ს/კ 405537174 - 50%);
- შპს „სიემსისთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებია: შპს „რენოვო“ (ს/კ 405306522 - 60%), შპს „ლენდმარკ დეველოპმენტი“ (ს/კ 405332803 - 50%), შპს „მეპერსი“ (ს/კ 402121887 - 45%), შპს „ბეტა ჯგუფი“ (ს/კ 405171996 - 35%) შპს „სიემსი - პროექტის მართვის ექსპერტები სტუდიო“ (ს/კ 405401220 - 89.29%), შპს „ჰაივორლდ“ (ს/კ 405433400 - 33.33%).

აღნიშნული კომპანიები ეკონომიკურ საქამიანობას ახორციელებენ შემდეგ ბაზრებზე:

სამშენებლო ბაზარი: შპს „ანაგი“ (ს/კ 245416401), შპს „ანაგი ბეტონი“ (ს/კ 245546681), შპს „ანაგი ქონსთრაქშენი“ (ს/კ 404631733), შპს „რენოვო“ (ს/კ 405306522), შპს „ლენდმარკ დეველოპმენტი“ (ს/კ 405332803), შპს „მეპერსი“ (ს/კ 402121887), შპს „ჰაივორლდ“ (ს/კ 405433400);

არქიტექტურული მომსახურება: შპს „დინ და პარტნიორები“ (ს/კ 405537174), შპს „სიემსი - პროექტის მართვის ექსპერტები სტუდიო“ (ს/კ 405401220);

ხელოვნება და კულტურა: შპს „ანაგი არტ ჰაუს“ (ს/კ 404630716);

ტურიზმი და დაკავშირებული მომსახურება: შპს „ბეტა ჯგუფი“ (ს/კ 405171996).

- შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ კონცნეტრაციის მონაწილე მხარეების მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული ეკონომიკური აგენტებისგან წილის შეძენა არ განხორციელებულა.
- წინა ფინანსური წლის განმავლობაში კონცენტრაციის მხარეების და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების წლიური ბრუნვა.
- ინფორმაცია დაგეგმილი კონცენტრაციის შესაბამისი ბაზრის შესახებ. მხარეები თვლიან, რომ კონცენტრაცია ეხება **სამშენებლო მასალების ბაზარს,** რაც მსჯელობა ეფუძნება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებულ „ბაზრის ანალიზის მეთოდურ მითითებებს“.
- ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულია საქართველოს მთელი ტერიტორია, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, თურქეთი.
- ბაზრის დროით ჩარჩოდ მიჩნეულია კალენდარული წელი.

შეტყობინების მიხედვით, კონცენტრაციის განხორციელების მიზანს წარმოადგენს სამშენებლო მასალების იმპორტი, ექსპორტი და შიდა ბაზარზე რეალიზაცია. მხარეების მოლოდინით და უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმების მიხედვით, სავარაუდო შემოსავალმა უნდა შეადგინოს დაახლოებით [redacted] მილიონი ამერიკული დოლარი.

შეტყობინებაში მოცემულია სამი საკითხი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დაგეგმილი კონცენტრაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- კონცენტრაციის მონაწილე მხარეები ოპერირებენ ბაზრის სხვადასხვა დონეზე და შესაბამისად, კონცენტრაციას არ ექნება გავლენა კონკურენტულ გარემოზე;
- კონცენტრაციის შედეგად დაფუძნებული საწარმო გეგმავს სამშენებლო მასალების იმპორტს, რის შედეგადაც სხვა დამატებით ფაქტორებთან ერთად, ბაზარზე გაიზრდება მაღალი ხარისხის პროდუქციის ხელმისაწვდომობა;
- კონცენტრაციის შედეგად არ იცვლება მხარების საქმიანობა და მმართველობითი სტრუქტურა.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს. კერძოდ, კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონცენტრაციად ითვლება ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან, ხოლო კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, დაუშვებელია.
3. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი

(ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

4. კანონის მ11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.
5. კანონის 11[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა.
6. კანონის 11[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
7. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
8. კანონის11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.
9. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
10. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული

ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. საერთაშორისო გამოცდილება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას, არის კონცენტრაცია. შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს შექმნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, თუ ის ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას. ამასთან, კანონი არ იძლევა განმარტებას, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება აღნიშნულ ტერმინში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია გაზიარებულ იქნას ევროკომისიის გამოცდილება. ევროკომისია, იმის დასადგენად, აქვს თუ არა ერთობლივ საწარმოს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის დამახასიათებელი ყველა ფუნქცია, იყენებს 4 ძირითად კრიტრიუმს:[1]

1. ერთობლივ საწარმოს უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი ბაზარზე დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის - აქტივი, პერსონალი, ფინანსური რესურსი და ა.შ;
2. ერთობლივი საწარმო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ საქმიანობით, რასაც ახორციელებენ მშობელი კომპანიები, ან რაც შეიძლება წამროადგენდეს მშობელი კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის არსებითად დამხმარე საქმიანობას. ამასთან, ერთობლივ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის პროცესში უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი წვდომა ბაზრის ყველა დონეზე;
3. ერთობლივი საწარმოს შეძენა/რეალიზაცია მშობელ კომპანიებთან უნდა არსებობდეს მხოლოდ შეზღუდული ფორმით. არ უნდა არსებობდეს იმგვარი სავაჭრო გარიგებები, რაც გავლენას მოახდენს ერეთობლივი საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხზე;
4. ერთობლის საწარმო უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები კუმულატიურია და შესაბამიად, აუცილებელია დაკმაყოფილებულ იქნას ერთდროულად. თუმცა, ევროკომისიის გამოცდილებით და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს შექმნა განიხილება კონცენტრაციად მაშინაც, კი როდესაც კრიტერიუმები სრულად არ არის დაკმაყოფილებული.

IV. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

[1] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XC0416(08)&from=EN

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ერთობილივი საწარმოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას, შტყობინების მიხედვით, წარმოადგენს სამშნებელო მასალების იმპორტი, ექსპორტი და შიდა ბაზარზე რეალიზაცია. შესაბამისად, **სამშენებლო მასალების ბაზარი**, არის ერთ-ერთი, სადაც უნდა შეფასდეს დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ერთობლივი საწარმოს შექმნის კონცენტრაციად მიჩნევა ქართული კანონმდებლობით და ევროკომისიის გამოცდილებით, საჭირეობს დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას და კრიტერიუმების სრულად დაკმაყოფილების არ არსებობის პირობებშიც კი, საერთაშორისო გამოცდილების გათვლისწინებით ხორციელდცება მისი განხილვა, როგორც კონცენტრაცია, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონკურენტული გარემოს შეფასება კონცენტრაციის მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის დონეზეც.

ზემოაღნიშნულიs გათვალისწინებით, ერთობლივი საწარმოს შექმნით დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესწავლის მიზნით, სააგენტო კონკურენტულ გარემოს აფასებს - სამშენებლო და სამშენებლო მასალების ბაზრებზე.[2]

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

კონცენტრაციის მხარეები აღნიშნავენ, რომ ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს წარმოადგენს საქართველოს მთელი ტერიტორია და შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობაც განხორციელდება ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო მასალების ბაზართან ერთად, კონკურენტული გარემოს გარემოს შეფასება ხორცილდება სამშენებლო ბაზარზეც, სააგენტო ეყრდნობა ევროკომისიის გამოცდილებას მსგავს შემთხვევებში ბაზრის კონკრეტული ჩარჩოს განსაზღვრის საკითხოს ღიად დატოვების შესახებ და კონკურენტული გარემოს შეფასებას ახორციელებს, როგორც ეროვნულ, ასევე ლოკალურ - ქ. თბილისის და ქ. ბათუმის დონეზე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

---

[2] გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური აქტივობების ის მიმართულება/მიმართულებები, რის ფარგლებშიც წინა ფინანსური წლის დონეზე ადგილი აქვს შემოსავლის მიღებას.

ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მიხედვით, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობის და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით. შესაბამისად, სამშენებლო მასალების და სამშენებლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, ხოლო შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების 2021 წლის წლიური ბრუნვის გამოსათვლელად, სააგენტო ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების მონაცემთა ბაზას - ORACLE.

ეროვნული დონე

სამშენებლო ბაზარი (2021 წელი):
მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა: - 4132;
ბაზრის მოცულობა - 6 175 780 118 ლარი;
HHI – 65.

სამშენებლო მასალების ბაზარი (2021 წელი):
მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა: - 1694;
ბაზრის მოცულობა - 5 547 091 251 ლარი;
HHI – 122.

ლოკალური დონე - ქ. თბილისი:

სამშენებლო ბაზარი (2021 წელი):
მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა: - 2155;
ბაზრის მოცულობა 4 102 971 226 ლარი;
HHI – 90.

ლოკალური დონე - ქ. ბათუმი:

სამშენებლო ბაზარი (2021 წელი):
მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა: - 554;
ბაზრის მოცულობა - 1 362 305 505 ლარი;
HHI – 505.

სამშენებლო ბაზარი ეროვნულ დონეზე, ისევე როგორც ლოკალურ - ქ. თბილისის და ქ. ბათუმის დონეზე, დაბალკონცენტრირებულია. დაბალკონცენტრირებულია ასევე სამშენებლო მასალების ბაზარი ეროვნულ დონეზეც. ამასთან ერთად, კონცენტრაციის მონაწილე მხარეების და მათი ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ინდივიდუალური საბაზრო წილი გასახილველ ბაზრებზე არ აღემატება [redacted]%-ს. შესაბამისად, განსახილველი შესაბამისი ბაზრების კონცენტრაციის ინდექსის და ამ ბაზრებზე, როგორც კონცენტრაციის მხარეების, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გათვალისწინებით, განსახორციელებელ კონცენტრაციას ვერ ექნება არსებითი გავლენა კონკურენტულ გარემოზე.

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ ფიზიკურ პირ ზაზა გოგოტიშვილს (პ/ნ [redacted]) და შპს „სიემსის“ (ს/კ 205292486) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით დაგეგმილი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.